საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№ 132 2019 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

„საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის №315 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის №315 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/12/2013, 480040030.10.003.017482) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ:

1. **„საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხაში“ (დანართი №1):**

ა) 26-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„26. საქართველოს საელჩო ლიეტუვას რესპუბლიკაში.“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 65-ე პუნქტი:

„65. საქართველოს საელჩო არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.“;

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 66-ე პუნქტი:

„66. საქართველოს საელჩო ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში.“.

2. „იმ ქვეყნების ნუსხაში, რომლებშიც აკრედიტებულია საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები“ (დანართი №2):

ა) მე-17 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-20 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) 23-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) 31-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„31. საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან აკრედიტებულია ანტიგუა და ბარბუდაში, სენტ-ვინსენტი და გრენადინებში, სენტ-ლუსიაში, დომინიკის თანამეგობრობაში, სენტ-კიტსისა და ნევისის ფედერაციაში, ბაჰამის თანამეგობრობაში, ჰაიტის რესპუბლიკასა და გრენადაში.“.

მუხლი 2

1. ეს დადგენილება, გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 აპრილიდან.

3. ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 აგვისტოდან.

4. ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ნოემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**